სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

66819152191720

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200256035

რეგისტრაციის თარიღი

11.03.2020 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათასოცი წლის თერთმეტ მარტს მე, საქართველოს ნოტარიუსს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #10 მომმართა **შპს „ქართული მილი“-ს** (ს/კ 406136097) დირექტორმა **ბექა ჭაბუკიანმა** (დაბ. 12.07.1990წ., პირადი #01005019722, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 110). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა **ელისო სიხარულიძის** (დაბადებული 17.08.1959წ. პირადი # 01019008423, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი სამრეკლოს ქ. N 6-8) სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ბექა ჭაბუკიანმა** მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, შევამოეწმე მისი უფლებამოსილება **შპს „ქართული მილი“-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 28.10.2019წ.** მე დავადგინე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა და რომ ამ მინდობილობის **ელისო სიხარულიძის** სახელზე გაცემით ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები. **ბექა ჭაბუკიანმა** პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე - **შპს „ქართული მილი“-ს** (ს/კ 406136097) დირექტორი **ბექა ჭაბუკიანი** (დაბ. 12.07.1990წ., პირადი #01005019722, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 110) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **ელისო სიხარულიძეს** (დაბადებული 17.08.1959წ. პირადი # 01019008423, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი სამრეკლოს ქ. N 6-8), რათა ჩემი როგორც შპს „ქართული მილი“-ს დირექტორის სახელით იყოს წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ყველა დოკუმენტი, ბრძანება, დადგენილება, პროექტი, ნებართვა და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა #12-ში (ს/კ: 01.19.22.002.024) მდებარე მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მისაღებად. ასევე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ზემოხსენებული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. ეს მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით,** შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე. მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარი-უსის არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: **შპს „ქართული მილი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 28.10.2019წ.;**

გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი: აქედან 10 (ათი) ლარი 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური და 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

შპს „ქართული მილი“-ს დირექტორი ბექა ჭაბუკიანი _____

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი